ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №80654

ნომერი: AR128617

თარიღი : 07.03.2012

გაცემის თარიღი : 14.03.2012

გაცნობის თარიღი : 14.03.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხომლელი , N3-ის მოპირდაპირედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ხომლელი , N 3 ა-ს მოპირდაპირედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი ნოზაძე პ/ნ 01019003242
- თბილისი რ.ხომლელის ქ. N 3ა ბ. 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ერთ–ერთ მნიშვნელოვან ქუჩაზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრის მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრის მხატვრულ ვიზუალური ელფერის დახვეწა და გაბარიტული ზომების შემმცირება, სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრაზე მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი წარწერის განთავსება.

ასევე გაითვალისწინეთ: ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად საზოგადოებრივ სივრცეში 2.70 მ-მდე სიმაღლეზე დაუშვებელია შენობის ფასადიდან არქიტექტურული დეტალების ნებისმიერი (თქვენ შემთხვევაში სარეკლამო აბრის) გადმოწევა 0.30 მ-ზე მეტად, ხოლო ზედაპირიდან 2.70 მ-ზე მეტის შემთხვევაში -- მხოლოდ 1.40 მ-მდე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, "ფოტომონტაჟის" გრაფაში უნდა ატვირთოთ განახლებული ფოტომონტაჟი,, რომელზეც აბრის ზომებთან ერთად ასევე დამატებით მითითებული იქნება მიწის ზედაპირიდან სარეკლამო აბრის ძირამდე ზომა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.